საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/138 "23" ივლისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 21 ივლისის №06-6721 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში შესულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი, რომელშიც სასამართლოს საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი ფლიგელის აშენების მიზნით დასმულია საკითხი სასამართლოს შენობის მიმდებარედ არსებული, დაურეგისტრირებელი 660 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შემოერთების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას მითითებული მიწის ნაკვეთის დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადმოსაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების სახელმწიფოს საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომში მისი სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადმოცემისთვის.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი